ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 2

ქ. ლანჩხუთი **21.03.2022 წელი**

16.00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი;**

კომისიის წევრები: ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე, კარლო წილოსანი, მაკა მშვიდობაძე, გოჩა ჯანაშია, ლოლიტა ურუშაძე.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა: ირმა მგელაძე, ელისო ჭიჭინაძე, რეზო კვერენჩხილაძე.

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე.** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია.**

კომისიის თავმჯდომარე, კარლო კვიტაიშვილი გამოეხმაურა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს და სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს. იმედოვნებს, როგორც რუსეთის პატრიარქმა იქადაგა, უძველეს კიევის რუსეთში ომი უნდა შეწყდეს და მალე დასრულდეს. ქართველი ხალხი ყოველთვის მხარს დაუჭერს უკრაინას და უკრაინელ ხალხს.

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: კარლო კვიტაიშვილი/

2. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 7; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ ისაუბრა

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** . მან აღნიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შესული ცვლილებებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, ცვლილება ეხება დადგენილების რედაქციული და სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით დახვეწას.

გიორგი ხელაძემ დეტალურად განიხილა ყველა ის ცვლილება, რომელიც წარმოდგენილია დადგენილების პროექტში. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი შედგება 130 მუხლით, ხოლო სხვადასხვა მუხლში შევა 27 ცვლილება. ცვლილება შეეხება პირველი მოადგილის და მოადგილეების შემოღების ინსტიტუტს, ასევე დეტალურად გაიწერა ფრაქციის კომისიის უფლებამოსილებები; მოხდა ოპოზიციის და უმრავლესობის ცნების ასახვა რეგლამენტში; სამართლებრივად დაემატა საქმისწარმოებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის რეგულაციები; ფინანსური კუთხით ცვლილება შეეხება სადეპუტატო ხარჯს, რომელიც განისაზღვრა 680 ლარით;

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის სხდომას განსახილველად.

მომხრე 6, თავი შეიკავა - 1 (მაკა მშვიდობაძე).

2. სხვადასხვა

1. დარეჯან ბურჭულაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს ესაჭიროება რემონტი. მითუფრო, სახელიდან გამომდინარე საზოგადოებრივია და უამრავ მოქალაქეს ემსახურება.

2. დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე (ყოფილი პოლიციის შენობა) შენობაში განთავსებულია სხვადასხვა სამსახური. სველი წერტილი მოწყობილია მეორე სართულზე, სადაც გამოყოფილი არ არის დამოუკიდებელი სივრცე ქალბატონებისთვის და მამაკაცებისთვის. იქმნება უხერხულობა და ირღვევა ჰიგიენური ნორმები. შენობას გააჩნია საკანალიზაციო სისტემა და მარტივად შესაძლებელია პრობლემის მოგვარება.

3. დარეჯან ბურჭულაძემ განაცხადა, რომ აღმაშენებლის ქუჩაზე არსებულ ავტობანზე აუცილებელია მწოლიარე პოლიციელის ან შემაფერხებელი ბარიერების მოწყობა. დაუცველია ადამიანები და პირუტყვი. ასევე არ არის მითითებული შლაგბაუმთან სად უნდა გადავიდეს ფეხით მოსიარულე მოქალაქე.

4. გოჩა ჯანაშიამ განაცხადა, რომ ნინოშვილის ქუჩაზე, სადაც მდებარეობს სამხატვრო და სამუსიკო სკოლა, აუცილებელია მოეწყოს მწოლიარე პოლიციელი.

5. გოჩა ჯანაშიამ გამოთქვა მოსაზრება, იმის შესახებ რომ, სამუსიკო სკოლის პედაგოგებს, რომელთა სრული განაკვეთი ყოველთვიურად 16 საათია, ანაზღაურება 240 ლარია. ანალოგიური დატვირთვის ანაზღაურება სხვა მუნიციპალიტეტში თითქმის ორმაგია.

კომისიის თავმჯდომარემ კარლო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ აუცილებლად ამ საკითხს განიხილავს მუნიციპალიტეტის მერთან.

6. ნინო მშვიდობაძემ განაცხადა, რომ კულტურულად განიხილება მუზეუმების შეერთება. მისი მოსაზრებით ყველაზე მრავალმხრივი და ექსპონატებით მდიდარი მხარეთმცოდნეობის მუზეუმია, მაგრამ შენობა სარემონტოა და შეუსაბამოა ექსპონატების შესანახად. იგი დაინტერესდა, იგეგმება თუ არა შენობის რეაბილიტაცია ან ახლის აშენება.

კარლო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ როგორც მისთვის ცნობილია, ეს თემა მხოლოდ სურვილის დონეზე განიხილება.

7. კარლო წილოსანმა განაცხადა, რომ მისი სურვილია და მოქალაქეების დიდი დაინტერესებაა, რომ ქალაქის ცენტრში მოეწყოს გასართობი „ატრაქციონი". იგეგმება თუ არა ბავშვებისთვის გასართობი სივრცის მოწყობა.

კარლო კვიტაიშვილმა განმარტა, რომ პრემიერმინისტრის მხარდაჭერით რეაბილიტაცია უტარდება ქალაქის ცენტრს და ამ პროექტის ფარგლებში მოეწყობა სკვერიც, ყველა ასაკის მოქალაქისთვის.

8. დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ მაწანწალა ძაღლების თემა ისევ გადაუჭრელია. ახლა უკვე ავადმყოფი ძალღები დადის, რომელიც დიდ საშიშროებას უქმნის მოქალაქეებს. მისი სურვილია და აუცილებელია მოიფიქრონ პრობლემის გადაჭრის ფორმა.

9. ნინო მშვიდობაძემ გააჟღერა ინფორმაცია, რომ კულტურის სამსახურმა გამოაცხადა კონკურსი პროზასა და პოეზიაში სახელწოდებით „9 აპრილიდან 9 აპრილამდე". მასში მონაწილეობის მიიღების უფლება აქვს 14-დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდებს. გამარჯვებულებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო. თხოვნაა, დაინტერესებულმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ კონკურსში.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №2 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი 21.03.2022 წ.

2022 წლის 21 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი 1. 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
21.03. 2022 წელი
16.00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – კარლო კვიტაიშვილი	15^55	
2. ნინო მშვიდობაძე	15:58	
3. დარეჯან ბურჭულაძე	15^58	
4. ლოლიტა ურუშაძე	15:58	
5. კარლო წილოსანი	15:59	
6. ირმა მგელაძე	—	ს/ ინ ინ ტ ბ ოდ
7. მაკა მშვიდობაძე	15:59	
8. გოჩა ჯანაშია	15^55	
9. რეზო კვერენჩხილაძე	—	ს/ ინ ინ ტ ბ ოდ
10. ელისო ჭიჭინაძე	—	ს/ ინ ინ ტ ბ ოდ

-